ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 8 თებერვლის №30/01-01 და 2024 წლის 16 თებერვლის №34/01-01 ბრძანებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 მარტის N31/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 22 მარტი, 2024 წ.

12:00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია №215

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5-ვე წევრი:

1. ზაზა სხირტლაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (თავმჯდომარე)

2. ნათელა ჯაბუა - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე)

3. ირინე კოშირიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (მდივანი)

4. მარიამ გაჩეჩილაძე - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

5. ლელა წიწუაშვილი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშებების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნებათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ

კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ზაზა სხირტლაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის **სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - **მარიანა ოკლეიმ.**

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობით დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

მარიანა ოკლეიმ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

კონკურსანტმა მარიანა ოკლეიმ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით (1980-1985). 1985 წელს გახდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის

თანამედროვე ხელოვნების განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი მიიღო თბილისში 1993 წელს („თეატრის მხატვარი სოლიკო ვირსალაძე. მოღვაწეობის 1970-1980-იანი წლები").

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალიწინა, რომ ის წლების განმავლობაში ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში ბაკალავარიატსა და მაგისტრატურაში. წარმოდგენილი სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მომქმედ მოთხოვნებს.

წარმოდგენილ კონცეპციაში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და დამაჯერებლად მსჯელობს მისი სახელოვნებათმცოდნეო ინტერესების, გაწეული საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. ეს კარგად ჩანს „კონკურსანტის შეფასების ფორმაში" (დანართი N4).

მარიანა ოკლეის გამოკვლევები ღირებული და მნიშვნელოვანია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის საქმიანობისთვის. იგი მუშაობს არამარტო სცენოგრაფიის საკითხებზე, არამედ იკვლევს თანამედროვე ქართული ხელოვნების სხვადასხვა მხარეს, ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედებას. ყოველივე ეს მას საშუალებას აძლევს გააკეთოს საგულისხმო დასკვნები როგორც კერძოდ თანამედროვე ქართული ხელოვნების ძირითადი ტენდენციების თაობაზე, ისე ქართული მხატვრული შემოქმედების ადგილზე მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი პუბლიკაციები: „ქალი ხელოვანები" (2022), წიგნი-ალბომები კოკა იგნატოვის (2017), დავით სულაკაურის (2018), სოლიკო ვირსალაძის (2019), მურაზ მურვანიძის (2029) და სხვა მხატვართა შემოქმედების შესახებ. ამას გარდა, მარიანა ოკლეი არაერთი კვლევითი ნარკვევის ავტორია, მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში. საკონკურსო ანკეტაში მითითებული 25 ნაშრომიდან 6 წიგნი-ალბომია, ხოლო 8 ადგილობრივ რცენზირებად ჟურნალში დაბეჭდილი სტატია. ანკეტაში მითითებული მოხსენებებიდან 3 მოხსენება დაბეჭდილია საკონფერენციო მასალებში. ამას გარდა, მარიანა ოკლეი არის 3 საგამოფენო კატალოგის ავტორი ან თანაავტორი.

საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, უცხო ენების ფლობით და თავისი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს შეუძლია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

მარიანა ოკლეის ცოდნა და გამოცდილება აისახება მის პედაგოგიურ აქტივობაშიც: 2015 წლიდან დღემდე ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის სხვადასხვა სახელოვნებათმცოდნეო საგანს. მის აკადემიურ შესაძლებლობაზე მეტყველებს იმ კურსების ჩამონათვალი, რომელთა წაკითხვაც შეუძლია კონკურსანტს (მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, XX საუკუნის ხელოვნება, სცენოგრაფიის ისტორია, XIX-XX სს. ქართული სახვითი ხელოვნება). მარიანა ოკლეი, მისი პროფესიონალიზმისა და პიროვნული თვისებების გამო, როგორც სტუდენტებში, ისე კოლეგებში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სიახლეების ძიება ცხადყოფს, რომ იგი ხელს შეუწყობს ხელოვნებათმცოდნოებაში ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების შემდგომ ინტეგრირებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტს აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის გამოცდილება. მისი მიზანდასახულობა და სამეცნიერო-კვლევითი გეგმა შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. მარიანა ოკლეი არის გამოცდილი კადრი მოქალაქეობრივი და აკადემიური ღირებულებებით. მისი მიღება უნივერსიტეტის სივრცეში არის უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების ხელშემწყობი პირობა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი მარიანა ოკლეის კანდიდატურას. მარიანა ოკლეის ხელოვნებათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ ასისტენტის თანამდებობაზე არჩევა შემოიტანს ახალ ცოდნას თანამედროვე ქართული და დასავლური ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით. მარიანა ოკლეის კვლევითი მიმართულება სახვითი

ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ შორის - სცენოგრაფიაში ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო ფართოდ ჩაერთოს სხვადასხვა საერთშორისო პროექტში და მხატვრულ შემოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში (გამოფენები, ბიენალეები), რომლებიც გულისხმობს სხვადასხვა მიმართულების ხელოვნებათმცოდნეთა თანამშრომლობას. მარიანა ოკლეი ათი წელია თანამშრომლობს ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტთან. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან თავი გამოავლინა, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალმა, დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების პატივისცემა.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა“ კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა **მარიანა ოკლეი.**
2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:		ზაზა სხირტლაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:		ნათელა ჯაბუა
კომისიის მდივანი:		ირინე კოშორიძე
კომისიის წევრები:		მარიამ გაჩეჩილაძე
		ლელა წიწუაშვილი

26 მარტი, 2024 წ.